გიორგი ცომაია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასამართლო პროცესი საბჭოთა კავშირში ანდრეი ვლასოვისა და რგა-ს ხელმძღვანელების წინააღმდეგ

საბჭოთა და რუსულ ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება, რომ გენერალი ანდრეი ვლასოვი და მისი თანამოაზრეები მოღალატეები იყვნენ, რომ სწორედ ამიტომ ისინი იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის დროს. ჩემს მოხსენებაში მე ვცდილობ დავადგინო, რამდენად შეესაბამება ეს მოსაზრება სიმართლეს.

ანდრეი ვლასოვისა და მისი თანამოაზრეების სასამართლო პროცესი ოფიციალურად გაგრძელდა სულ სამ დღეს – 1946 წლის 30 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით. სულ სამხედრო სასამართლოს უმაღლესი კოლეგიის წინაშე წარდგენილ იქნა 12 პირი: ანდრეი ვლასოვი – გენერალ-ლეიტენანტი,[1] მე-2 დამრტყმელი არმიის სარდალი; ვასილი მალიშკინი – გენერალ-მაიორი და მე-19 საბჭოთა არმიის შტაბის ხელმძღვანელი; გეორგი ჟილენკოვი – ბრიგადის კომისარი, 32-ე საბჭოთა არმიის სამხედრო საბჭოს წევრი; ფიოდორ ტრუხინი – გენერალ-მაიორი, გენერალური შტაბის აკადემიის პროფესორი და ბალტიისპირეთის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის შტაბის ოპერატიული განყოფილების ხელძღვანელი; დმიტრი ზაკუტნი – გენერალ-მაიორი და გენერალური შტაბის აკადემიის პროფესორი, 21-ე მსროლელთა კორპუსის მეთაური; ივან ბლაგოვეშჩენსკი – სანაპირო სამსახურის გენერალ-მაიორი; მიხაილ მეანდროვი – პოლკოვნიკი, მე-6 არმიის შტაბის ოპერატიული განყოფილების ხელძღვანელი; ვიქტორ მალცევი – საჰაერო ძალების პოლკოვნიკი, ციმბირის სამხედრო ოლქის საჰაერო ძალების სამმართველოს ხელძღვანელი 1931 წელს; სერგეი ბუნიაჩენკო – პოლკოვნიკი, 389-ე მსროლელთა დივიზიის მეთაური; გრიგორი ზვერევი – პოლკოვნიკი, 190-ე მსროლელთა დივიზიის მეთაური, ვლადიმირ კორბუკოვი – პოდპოლკოვნიკი; ნიკოლაი შატოვი – პოდპოლკოვნიკი, ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის საარტილერიო მომარაგების უფროსი (А. Н. Артизов, 2015, გვ. 313-314).

[1] მოცემულია ის საბჭოთა სამხედრო წოდებები, რომელიც გააჩნდათ ბრალდებულებს დატყვევების მომენტისთვის – გ.ც.

პროცესი დახურული იყო, რაც, ერთი შეხედვით, უცნაურია. ღია, პირდაპირი სასამართლო პროცესი ხომ საბჭოთა მოქალაქეებს და მთელ მსოფლიოს აჩვენებდა, რომ საბჭოთა სამართლიანობა ყველასათვის ერთია, მათ შორის, მოღალატეებისთვისაც კი. მაგრამ ღია პროცესი, რომელიც უნდა მომხდარიყო და რომელიც, ჩანაფიქრის მიხედვით, უნდა ყოფილიყო „საბჭოთა სასამართლო სისტემის ზეიმი“, არ შედგა. საქმე ის გახლავთ, რომ თავდაცვის სამინისტროს სახალხო კომისრის მოადგილემ და სმერშის ხელმძღვანელმა გენერალ-პოლკოვნიკმა აბაკუმოვმა, საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარემ ვასილი ულრიხმა და სსრკ-ს გენერალური პროკურორის მოადგილემ აფანასი ვავილოვმა 1946 წ. 26 აპრილის გაგზავნილი წერილით სტალინს დახურული პროცესის გამართვა შესთავაზეს (А. Н. Артизов, 2015, გვ. 312). ჩემი აზრით, ამას რამდენიმე მიზეზი გააჩნდა. პირველ რიგში, არსებობდა საფრთხე, რომ ანდრეი ვლასოვი და მისი მიმდევრები გამოიყენებდნენ ღია პროცესს, როგორც ტრიბუნას თავისი აზრების გასავრცელებლად და გააჟღერებდნენ სტალინის მიმართ ან საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ისეთ მოწოდებებს, რომელიც პოპულარული იქნებოდა საბჭოთა მოსახლეობაში.

გარდა ამისა, იყო კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ უნდა ყოფილიყო პროცესი დახურული. ეს იყო დაკავებულების საზოგადოებრივი სტატუსი. მართალია, საბჭოთა საზოგადოებაში უკვე იყო ჩანერგილი ის მოსაზრება, რომ ნებისმიერი ჯარისკაცი და ოფიცერი, რომელიც ტყვედ ჩაბარდება, არის სამშობლოს მოღალატე, მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარი არ მიდიოდა რიგით ჯარისკაცებზე. როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, ისინი საკმაოდ პრივილეგირებული და განათლებული პროფესიონალები იყვნენ. შესაბამისად, საბჭოთა ხელისუფლების მიერ მოღალატეებად შერაცხული მაღალჩინოსნების ასეთი რაოდენობა ნამდვილად გამოიწვევდა გარკვეულ პრობლემებს საზოგადოებაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამდენი მაღალი დონის პროფესიონალის გადასვლა მტრის მხარეს საბჭოთა ხელისუფლებას გარკვეულ უხერხულობას ნამდვილად შეუქმნიდა.

და ბოლოს, სასამართლო პროცესის ღიად გამართვა აზრს კარგავდა იმ ფონზე, რომ 1946 წლის 23 ივლისს, ჯერ კიდევ პროცესის ოფიციალურად დაწყებამდე, სკკპ(ბ) ცკ-ს პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით, ყველა ბრალდებულს მიესაჯა სიკვდილით დასჯა (ჩამოხრჩობა) (А. Н. Артизов, 2015 გვ. 312-313). აქედან გამომდინარე, ღია პროცესის გამართვა საბჭოთა სასამართლო სისტემის ფიქტიურობას უფრო აჩვენებდა, ვიდრე სამართლიანობას. შესაბამისად, ასეთი გადაწყვეტილება ლოგიკური იყო.

ყველა დაკავებულმა თავი მოღალატედ აღიარა. ამას ადასტურებს მოსამართლის

მიერ მათი დაკითხვის ოქმი (А. Н. Колесник. 1990, გვ. 37-79).[1] მიუხედავად ამისა, ეს ოქმი დიდ საბუთად ვერ გამოდგება. ცალსახაა, რომ ვლასოველებს უკვე ხელი ჰქონდათ ჩაქნეული თავიანთ სიცოცხლეზე და პასუხობდნენ ისე, როგორც მათ ბრალმდებლებს სურდათ. ოქმის თანახმად, თითქმის ყველა ბრალდებულმა განაცხადა, რომ ისინი ტყვედ ჩაბარდნენ სიმხდალის გამო, ხოლო ა. ვლასოვმა თქვა, რომ „მან სულმოკლეობა გამოიჩინა“ (А. Н. Колесник, 1990, გვ. 42). ამ დროს, მაგალითად, ვასილი მალიშკინი ტყვედ ჩაბარდა 1941 წელს 24 ოქტომბერს, როდესაც ცდილობდა ვიაზმის „ქვაბიდან“ გამოსვლას და ტყვედ იქნა აყვანილი მაშინ, როდესაც ტყეში, კოცონთან ისვენებდა (Александров К, 2005, გვ. 407). აქედან გამომდინარე, ამ ოქმზე დაყრდნობა მხოლოდ დიდი სიფრთხილითა და სხვა წყაროებთან შეჯერებით თუ შეიძლება.

1946 წლის 1 აგვისტოს სასამართლომ გამოიტანა ჯერ კიდევ პროცესამდე ცნობილი განაჩენი – ყველა ბრალდებულს მიესაჯა სიკვდილი ჩამოხრჩობის გზით (А. Н. Артизов, 2015, გვ. 313-322). განაჩენი იმავე დღეს იქნა სისრულეში მოყვანილი (А. Н. Артизов, 2015, გვ. 322-323). ნიშანდობლივია, რომ საბჭოთა საზოგადოებამ მხოლოდ ამის შემდეგ, 2 აგვისტოს შეიტყო ამ პროცესის და მისი შედეგების შესახებ (Правда, 1945, გვ.4). ვინაიდან ჯერ კიდევ 1941 წლის 16 აგვისტოს წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ გამოცემული ცნობილი ბრძანება №270 კრძალავდა ტყვედ ჩაბარებას, საბჭოთა ხელისუფლებას არ გასჭირვებია ამ ადამიანების მოღალატეებად და მტრებად აღიარება. ასე რომ, საბოლოო ჯამში, საბჭოთა მოსახლეობის მეხსიერებაში სწორედ ასეთი აზრი დამკვიდრდა.

პირველ რიგში, დავიწყოთ იმით, თუ ვინ იყო ის ხალხი, რომელიც სათავეში ჩაუდგა რგა-ს. მაგალითად, ავიღოთ ანდრეი ვლასოვი. ეს იყო პროფესიონალი და გამოცდილი სამხედრო, რომელსაც შეეძლო რთულ ვითარებაში მუშაობა. ასევე, მას შეეძლო რთულ კონტინგენტთან მუშაობა. ომის წინ ვლასოვი იყო ერთ-ერთი მექანიზირებული კორპუსის სარდალი, რომელიც დაკომპლექტებული იყო იმ დროისთვის ტექნიკის უახლესი ნიმუშებით (КВ-1 და Т-34). ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ ანდრეი ვლასოვი ნამდვილად იყო პროფესიონალი სამხედრო.

რაც შეეხება ვლასოვის თანამოაზრეებს, ფიოდორ ტრუხინი წითელი არმიის გენერალური შტაბის აკადემიის პროფესორი იყო, სერგეი ბუნიაჩენკო – წითელი არმიის საკადრო ოფიცერი, რომელიც ვერმახტმა ტყვედ აიყვანა 1942 წელს. საბჭოთა კავშირის გმირები იყვნენ რგა-ს საჰაერო ძალების ოფიცრები რომან ანტილევსკი და სემიონ ბიჩკოვი. ვიქტორ მალცევი იყო ციმბირის სამხედრო ოლქის საჰაერო ძალების სამმართველოს ხელძღვანელი და ა.შ. როგორც ვხედავთ, აღნიშნული პიროვნებები გამოცდილი

[1] საარქივო დოკუმენტი გამოქვეყნებულია წიგნში: **А. Н. Колесник. Харьков. (1990).** *РОА – власовская армия: Судебное дело генерала А. А. Власова.*. Простор.

სამხედროები და ხელმძღვანელები იყვნენ, რომლებმაც არა მარტო შეძლეს ომის ბოლო თვეების ძალიან მძიმე ვითარებაში რგა-ს შექმნა, არამედ მოკავშირის სტატუსი მიანიჭებინეს თავიანთ არმიისათვის.

თავად რგა მკვეთრად განსხვავდება სხვა კოლაბორაციონისტული შენაერთებისგან, რომლებიც შექმნილი იყო ომის დროს გერმანიის მიერ. ძირითადად, ასეთი შენაერთები დაცვის სახით განთავსებოდა ხოლმე ვერმახტის თუ „სს“-ის სხვადასხვა ობიექტებზე და საკონცენტრაციო ბანაკებში. უკეთეს შემთხვევაში, ისინი ასრულებდნენ პოლიციის როლს ოკუპირებულ ქალაქებსა და სოფლებში. რგა არ მონაწილეობდა არც ბანაკების დაცვაში, არც ქუჩების პატრულირებაში. ეს იყო თავიდან ბოლომდე სამხედრო შენაერთი, რომელსაც თავისი საჰაერო ძალებიც კი ჰყავდა. რგა, მისი 1-ლი დივიზიის სახით, მონაწილეობდა ერთადერთ ბრძოლაში საბჭოთა ძალების წინააღმდეგ მდინარე ოდერის რაიონში.

რა თქმა უნდა, მთავარი კითხვა მდებარეობს შემდეგში – რატომ გადავიდნენ ისეთი ადამიანები, როგორიც იყვნენ ანდრეი ვლასოვი, ფიოდორ ტრუხინი, სერგეი ბუნიაჩენკო და დანარჩენები მტრის მხარეზე? ამ კითხვას სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა ახსნა აქვს. მაგალითად, ვიქტორ მალცევი რეპრესირებული იყო და მისი გადასვლა მოწინააღმდეგის მხარეზე გასაგები იყო. სერგეი ბუნიაჩენკომ დაკარგა თავისი შენაერთი ბრძოლებში და ემუქრებოდა სამხედრო ტრიბუნალი. რაც შეეხება უბრალო ჯარისკაცებს, ტყვედ ჩაბარების აკრძალვის შემდეგ მათ საბჭოთა კავშირში მხოლოდ გულაგი თუ ელოდებოდათ. უმრავლესობა იმ ჯარისკაცებისა, რომლებიც შეუერთდნენ რგა-ს, ჩემი აზრით, სწორედ ასე ფიქრობდა. მით უმეტეს, რომ ხშირად რგა-ში და სხვა კოლაბორაციონისტულ შენაერთებში გაწევრიანება, უბრალოდ, სიცოცხლის გადარჩენის შანსი იყო. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირმა არ მოაწერა ხელი ჟენევის კონვენციას და, შესაბამისად, წითელი ჯვარი ვერ ეხმარებოდა საკვებით ან მედიკამენტებით წითელარმიელებს. ვინაიდან გერმანია, უბრალოდ, არ ელოდა ამ რაოდენობის ტყვეებს (მხოლოდ 1941 წლის განმავლობაში ტყვედ ჩავარდა თითქმის 4 მილიონი საბჭოთა ჯარისკაცი), ამას მოჰყვა შიმშილობა და ტყვეთა დიდი ნაწილი დაიღუპა. და ბოლოს, არსებობდნენ ადამიანები, მაგალითად, ვიქტორ მალცევი, რომლებიც ანტისაბჭოთა ფორმირებებში გაერთიანდნენ თავისნთ შეხედულებების გამო.

ვლასოვის ფიგურასთან დაკავშირებით კი შეიძლება ითქვას, რომ ის არ იყო ტიპური საბჭოთა ოფიცერი. ძნელია იმის თქმა, რომ ვლასოვი გერმანელებთან თანამშრომლობას დასთანხმდა სიცოცხლის შენარჩუნების ან, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „სულმოკლეობის“ გამო. უფრო სავარაუდოა, რომ ის, კარგად ხედავდა რა გერმანიის ხელმძღვანელობის დამოკიდებულებას რუსებისა თუ, საერთოდ, სლავური წარმოშობის ხალხისადმი, ცდილობდა, ეფექტური სამხედრო ძალის შექმნით სასარგებლო გამხდარიყო და ამით გარკვეულწილად შეეცვალა ჰიტლერის გეგმები ოკუპირებული ტე-

რიტორიებისა და ეთნოსების მიმართ. ვლასოვმა ნამდვილად მიაღწია გარკვეულ წარმატებებს ამ მიმართულებით, თუმცა ეს უფრო სამხედრო ვითარების ცვლილებამ გამოიწვია.

გენერალი ანდრეი ვლასოვი არ იყო ერთადერთი, ვინც აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის სასამართლო სისტემის ხელში. 1947 წლის 15-16 იანვარს გაიმართა სასამართლო პროცესი კაზაჩი სტანის და „სს"-ის მე-15 კავალერისტული კაზაკური კორპუსის მეთაურებზე, კერძოდ: გენერალ პიოტრ კრასნოვზე, გენერალ ანდრეი შკუროზე, გენერალ ტიმოფეი დომანოვზე, გენერალ სულტან-გირეი კლიჩზე და გენერალ ფონ პანვიცზე. მოსამართლე იყო ვასილი ულრიხი, სსრკ-ს უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავჯდომარე. სამამართლო იყო დახურული, ადვოკატების და პროკურორის გარეშე. 17 იანვარს (Известия, 1947, გვ. 2) კი საბჭოთა გაზეთები გამოვიდნენ მოკლე სტატიით, რომელშიც იყო აღნიშნული, რომ სსრკ-ს უმაღლესი სასამართლოს სამეხდრო კოლეგიამ განიხილა დაკავებული გერმანული დაზვერვის აგენტების და თეთრგვარდიელების შეარაღებული ფორმირებების მეთაურების საქმე. სტატიაში იყო აღნიშნული, რომ გენერლებმა შექმნეს თეთრგვარდიელთა შეიარაღებული ნაწილები და მათი საშუალებით ახორციელებდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას ტერორისტული აქტებისა და სადაზვერვო-დივერსიული საქმიანობის გზით. ყველა დამნაშავემ თავისი დანაშაული აღიარა. სასამართლომ მათ მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – ჩამოხჩობა. იმავე დღეს სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში იყო მოყვანილი. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც საბჭოთა ხელისუფლებამ იმავე მეთოდით იხელმძღვანელა, როგორიც იყო ვლასოველების პროცესის შემთხვევაში: სწრაფი, დახურული სასამართლო პროცესი და სასიკვდილო განაჩენი. და ამ კაზაკური შენაერთების ხელმძღვანელებზე პროცესის შესახებ საბჭოთა კავშირის მოსახლეობამ გაიგო მხოლოდ ერთი დღის შემდეგ. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში საბჭოთა ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ რისკი არსებობს, რომ დაკავებული კაზაკები იტყოდნენ ისეთ რაღაცას, რაც საბჭოთა მოქალაქეებში გამოხმაურებას გამოიწვევდა. კოლექტივიზაცია, ინდუსტრიალიზაცია, განკაზაკება, გოლოდომორი, სამხედრო კომუნიზმი, წითელი ტერორი – ეს ყველაფერი და ბევრი სხვა ჯერ კიდევ ახსოვდათ საბჭოთა მოქალაქეებს. შესაბამისად, არსებობდა საფრთხე იმისა, რომ მოსახლეობა დასთანხმებოდა კაზაკების სიტყვებს.

ერთი შეხედვით, ეს ორი შემთხვევა თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისგან. ორივე შემთხვევაში, ვლასოვი და მისი თანამოაზრეები იბრძოდნენ „ახალი რუსეთისთვის ბოლშევიკების გარეშე", კაზაკებმაც თავიანთ ბრძოლის მთავარი მიზანი სწორედ ბოლშევიზმის განადგურება დაასახელეს. მაგრამ არსებობს განნსხვავებაც, თან მნიშნელოვანი. საქმე ისაა, რომ გენერალი ვლასოვი და დანარჩენი ვლასოველები იყვნენ საბჭოთა მოქალაქეები და, შესაბამისად, მათი გასამართლება ლოგიკური იყო, მაგრამ

კაზაკების ხელმძღვანელების უმრავლესობა არა საბჭოთა, არამედ სხვა ქვეყნის მოქალაქე იყო. ასევე, ორივე ჯგუფს აერთიანებდა ბრალის აღიარება. თუმცა, ჩემი აზრით, აქ არის განსხვავება: ვლასოვს და მის თანამოაზრეებს მიაწერეს აღიარებითი ჩვენება, კაზაკებს რაც შეეხება, კრასნოვმა, შკურომ და დანარჩენებმა, უბრალოდ, საკუთარ ბედზე ხელი ჩაიქნიეს (Н.Д Толстой, 1996, გვ. 110-111).

ასევე, უნდა აღვნიშნო კიდევ ერთი რამ – ვლასოვი საბჭოთა კავშირისთვის ბევრად უფრო დიდი საფრთხეს წარმოადგენდა, ვიდრე კაზაკური ლიდერები, ვინაიდან კაზაკები წარმოადგენდნენ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მცირე ნაწილს, ვლასოვი კი, იყო მოსახლეობის უდიდესი ნაწილის წარმომადგენელი.

Giorgi Tsomaia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The trial of General Andrei Vlasov and other leaders of the RLA

Summary

General Vlasov and his followers are unconditionally recognized as traitors in Soviet and modern Russian historiography. Often the reasons that prompted them to switch to the other side are either not considered at all, or considered through the prism of accusations of betrayal. In the article, I tried to understand how truthful these accusations correspond are. In the report, I analysed the biographies of General Vlasov and his associates to find out how many of them were professional officers. They all were senior officers of the Red Army and held high posts in the Soviet armed forces. Each of them was an expert in their field. It would seem that they all had no reason to switch sides.

However, you should not lose sight of several key factors, which I also examined in this article. Some of the officers, such as Bunyachenko, lost the units entrusted to them as a result of the fighting, and in the Soviet Union, especially during WWII, this was punishable. Some, such as Malyshkin, were captured during the rest. Some, like Maltsev, were repressed. At the trial, General Vlasov said that he showed cowardice - and therefore surrendered. However, based on his biography and his actions, we can conclude that the statement of cowardice is just Soviet propaganda, designed to strengthen the story of betrayal. All sorts of vices and sins were attributed to Vlasov and others back then – and that still happens now. However, given their status and professionalism, we can conclude that none of these people was the concentration of all the negative qualities that Soviet and most modern Russian historians awarded them.

I also examined why the trial was closed. As you know, all the accused were high-ranking officers and holding an open trial would show that justice is the same for everyone - especially since the trials of high-ranking members of the Soviet system were not a new thing. However, the leadership of the USSR decided otherwise - and there were reasons for such decision. Case is that the Vlasovites themselves were representatives of the largest part of the Soviet country population - especially Vlasov, who was born into a peasant family. Considering that collectivization, great terror and much more were still fresh in people's minds, and what Vlasov could say, and given the possibility that these words could resonate with the hearts of Soviet citizens, Soviet leaders considered the risk of not worth it. As a result, a closed trial was held.

In the article, I also gave an example of a trial of leaders of Cossack formations that fought on the Third Reich's side. Speaking of that trial, there are also differences that I considered in the article. The methods I used to write this article include published archival materials, scientific papers, and monographs that showed who these people were. I tried to explain what was their motivation and dissolve the myth about the causes of betrayal, as well as to understand who General Vlasov and his associates were.

გამოყენებული ლიტერატურა:

А. Н. Артизов. Москва. (2015). *Генерал Власов: история предательства:* (В 2 т. Т. 2, кн. 2.). РОССПЭН.

А. Н. Колесник. Харьков. (1990). *РОА – власовская армия: Судебное дело генерала А. А. Власова.*. Простор.

Александров К. Москва. (2005). *Русские солдаты. Герои или предатели.*. Эксмо.

Сообщение Военной Коллегии Верховного Суда Союза ССР (1946, 2 აგვისტო). *Правда, გვ. 4.*

Сообщение Военной Коллегии Верховного Суда Союза ССР (1947, 17 იანვარი). *Известия, გვ. 2.*

Н.Д Толстой. (1996), Москва. *Жертвы Ялты.* Русский путь.